№ 10 22 იანვარი, ოთხშაბათი 1866—1875 22 იანვარი, ოთხშაბათი № 10

რედაქცია

მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, ულორლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ 1875 წელს გაზეთი

„დროება“

კვირაში სამჯერ გამოდის

კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

გაზეთის ფასი

ერთის წლისა—8 მან., ნახევარის წლისა —4 მან. და 50 კაპ.

ხელის მოწერა

მიიღება რედაქციაში: მოლნინს (აბას-აბატის) მაედანზე, ულორლანოვის სახლებში და აგრეთვე მელიქიშვილის სტამბაში. გარეშე მცხოვრების ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“*

საქართველო

ქართულ წარმოდგენის გამართვაზე

ჩვენში ათასში ერთხელ ქართული წარმოდგენა მოხდება და ისიც ისე არეულ-დარეულათ იმართება, რომ არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ გამოვსთქვათ ამ ჟამად, რადგანაც წარმოდგენას აპიროებენ. თუმცა ეს რამდენიმე სიტყვა წარმოდგენის გამართვაზე თეატრის საქმეში ანბანია, მაგრამ რა გაეწყობა, რომ ზოგჯერ ანბანიც გვავიწყდება. მე ხშირად მქონია რაიმე მონაწილეობა წარმოდგენის გამართვაში და ეს უანბანობა რომ მინახავს, ამის გაუგებრობა რომ მინახავს, ახლა დარწმუნებული ვარ ქვემოხსენებული აზრის გამოთქმა საჭირო იყოს.

1.) წარმოდგენის გამართვის დროს თეატრის მოყვარენი არ ირჩევენ რეჟისორს და უბრალო საქმეთ მიაჩნიათ თვით წარმოდგენის ან მომზადების დროს თადარიგის მიცემა. მაგალითად წარმოდგენის დროს ბევრჯელ უბრალო ნიეთი დაჰკლებიათ, რომლის მოპოებისათვისაც მოქმედს პირს კულისებში სიარული და რბენა შეხვედრია და სცენაზე ან სიჩუმე, ან არეულობა მომხდარა. ან კიდევ კულისებში რეჟისორი არ ყოფილა, რომ მოქმედ პირების შესვლა გასვლას თვალ-ყურს ადევნებდეს. ქულისებში ბევრჯელ წიგნიც კი არა ჰქონიათ. ყველა ამაების მიზეზები წინათვე მოუმზადელობა ყოფილა.

2.) სუფლორიც აგრეთვე ბევრჯელ არც კი ყოფილა და წარმოდგენის დროს ვინც შეხვედრიათ, ის ჩაუსვამთ. ამისგამო მომხდარა, რომ სუფლორს წინათვე მოუმზადებლობის გამო წარმოდგენის დროს ვერ წაუკითხავს და მოქმედი პირებიც იმის ხმის შეუჩეველნი არეულან.

3.) ტანისამოსის მომზადებელად და ჩამცმელათ საკუთარი კაცი არა ჰყოლიათ და სუფლორი და რეჟისორი ან თავსა სდგომიან და ან აქა იქა უელიათ ტანისამოსის საშოვნელათ. ამის გამო რასაკვირველია დრო ბევრი დაკარგულა და მაყურებელი ხალხი, პუბლიკა, გაბეზრებულა. წინათვე რიგიანათ ტანისამოსი არა ყოფილა მომზადებული და დიდი ფაიტონების ჭენება გამართულა თვით წარმოდგენის დაწყების ჟამსა.

4.) ბილეთების გაყიდვა. ჩვენში ჩვეულებათ შეიქნა, რომ ბილეთებს წარმოდგენაში მონაწილე კაცებიც თავის მცნობებში და ნათესავებში ჰყიდიან. ამათში ბევრჯელ ისეთი შემთხვევა ხდება, რომ ან ბილეთები იკარგება, ან ფული არ შემოდის, ან იგვიანებს, და ყველა ამაებისაგან იმართება ბაასი, სამდურავი, კიცხვა და ერთი სიტყვით ბევრი ტყუილი და ცილის-წამებაც იბადება. ისევ ის არა სჯობს კასირს ჩაბარდეს უკლებლათ ბილეთები იმ პირობით, რომ მიმცემისაგან უკან გამორთმევა და სხვებისაგან ნისიათ აღება არამც და არამ არ შეიძლებოდეს. წარმოდგენის გათავების შემდეგ ბილეთების მიმცემმა ჩაიბაროს ფულიცა და დანარჩენი ბილეთების ანგარიშიც. ზოგი ამბობს, თეატრის კასსაში რომ ბილეთები ისყიდებოდეს, ბევრი არ გაისყიდებოდა. დალოცვილები ამას კი აღარ ამბობენ, ნისია ბილეთები რამდენი იკარგება და ანგარიშები როგორ ირევა, რამდენი ცილის წამება იბადება და საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა იმართება. ბილეთების შინ მიტანამ ხომ ხალხი მოაბეზრა, სწორეთ გაჯერებულა ჩვენი საზოგადოება, რასაკვირველია ქართული სპექტაკლების ბილეთების მიტანით კი არ, იტალიანურისა და რუსულის ბენეფიციანტებისაგან. ამას მეტს-მეტი ზიზღით უყურებს საზოგადოება და არა მართებს ქართულ წარმოდგენას ამ გრძნობის მიზეზი შეიქნას.

5.) შემოსავალ-გასავლის ანგარიშის დაბეჭდვა დიდათ საჭირო რამ არის. ერთხელ და სამუდამოთ წესათ უნდა დაედვათ, რომ წარმოდგენის მეორესვე დღეს სრული ანგარიში მომზადებული იყოს დაწერილებით და დაიბეჭდოს გაზეთში, რა საგანზე რამდენი დაიხარჯა, სრულათ რა ფული შემოვიდა და დანახარჯის გამოსელის შემდეგ რა დარჩა, ეს დარჩენილი ფული სახელდობრ ვინ ჩაიბაბარა, აფიშაში გამოცხადებულ საგანს როდის მოხმარდება და იმ დრომდინ ფული სად იქნება. ვისაც ფული მიუღია ამისთანა ანგარიშზე ხელი უნდა მოაწეროს და ისე დაბეჭდილი იქმნას გაზეთში. ეს უეჭველათ საჭიროა, რომ ათას გვარი ტყვილი და მართალი ლაპარაკი არ აირიოს, ცილის წამება არ მოხდეს, წარმომადგენლებმა ყველამ ნამდვილათ იცოდნენ თავისი შრომის ნაყოფი.

6.) საჭიროა კარგი თადარიგის მიცემა, რომ წარმოდგენის დროს ხუთგრიშიანი ლიტრის მოსატანათ ხუთი კაცი ფაეტონებს არ დააქანებდნენ.

აი ეს მინდოდა გამომეთქვა. როდესაც წესით და კარგის თაოსნობით გაიმართება წარმოდგენა, ბევრი სიარული, თავის ხეთქა, ყალმაყალი და ალიაქოთი არ მოხდება. ყველას თავისი საქმე აჩენილი ექნება, მეორეს

ფელეტონი

სამშობლოს სიყვარული

წერილი მეგობართან

I

„Ibi bene ubi patria“

(იქ არის კარგი, სადაც სამშობლოა)

—

ჩემო მეგობარო! შენს უკანასკნელ წერილში, სხვათა შორის, აი რა ალტაცებით მწერდი შენი პირველი ვაჟის დაბადებაზე.

„...დღეს რომ 25 დეკემბერია და ქრისტეს შობის დღე, ამდენი ხნის ნატვრის შემდეგ, მეც გავხდი პირველი ვაჟის მამა! მეც მელირსა შვილი, რომლის აღზრდისა და განათლებისათვის უნდა შევსწირო მთელი ჩემი სწავლა, შრომა, ენერგია და ლარიბი შეძლება! მეც ველირსე შვილს, ჩემო მეგობარო, რომელსაც დედის რძისგან უნდა შევაწოვო მამულის სიყვარული და თავგანწირულობით უსამართლოებასთან ბრძოლა.... რომელმაც უნდა ისწავლოს და იშრომოს, იცოცხლოს და მოკვდეს კიდეც ჩვენი ძვირფასი სამშობლოსათვის!...“

აი, ეს ორიოდე ალტაცებით დაწერილი სიტყვა შენი პირველი ვაჟის დაბადებაზე და სამშობლოსათვის იმის სახელოვან შვილათ აღზრდაზე.

მე რომ შენ გიცნობ, ვერ გაებედავ, რომ ამ შენ გულის სიღრმიდამ ამოღებულს სიტყვებში ეჭვი რამ შევიტანო; ერთს წამსაც არ მინდა ეჭვი ვიქონიო, რომ შენ მუდამ შენს მტკიცე რწმუნებას ან დევიზს: „სიტყვა და საქმე განუშორებლათა უნდა იყვნენო!“ როდისმე გარდაგდებ ან გვერდს აუელი და რადგან დარწმუნებული ვარ, რომ განსაკუთრებით ამ შემთხვევაში არ უმტყუნებ შენს მუდამ რწმუნებას, მე განვიზრახე ეს შენი პირველი ვაჟის შეძენა მოგილოცო ამ წერილით, რომელშიაც მოკლეთ და მეგობრულად უნდა გამოგიხატო იმ მაღალი გრძნობის და აზრის მნიშვნელობა, რომლითაც შენ გინდა იხელმძღვანელო ვაჟის აღზრდის დროს.

მაშ გეტყვი თუ რითი გამოიხატება სამშობლოსადმი ნამდვილი სიყვარული, ან რაში მდგომარეობს სამშობლოს ნამდვილი შვილის მოვალეობა...

ადამიანს ბევრს სხვა ბუნებით თვისებათა და ჩვეულებათა შორის, ის ჩვეულება და თვისებაც დაჰყოლია, რომ როგორლაც განსაკუთრებით მიმზიდველობას გრძნობს იმ მხარესთან და იმ ადგილთან, სადაც ის დაბადებულა, სადაც ნათელი ქვეყნისა პირველად უხილავს, სადაც გაზრდილა და ყმაწვილობა გაუტარებია. ყოველს მთას და გორას, ყოველს ტყეს, ბუჩქს, მდინარეს და პატარა ღელესაც ის ხანდის ხან ალტაცებაში მოჰყავს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იმის სამშობლოს ბუნების სიმდიდრეს, სიმშვენიერეს, კუთვნილებას შეადგენენ; ეს მიმზიდველობა საერთო ანუ საზოგადო ყოფილა, არის და აგრეთვე დარჩება კიდეც ყოველი ხალხის ანუ მთელი კაცობრიობისათვის.

რამდენათაც ესკიმოსს, ანუ გრენლანდიელს ძუდამ ყინვით აუღებელი თავის სამშობლო ძვირფასად და მშვენიერად მიაჩნია, იმდენად ძვირფასია ნეგრისათვის მისი საშობლო, რომელიც პირ-და-პირ მაყურებელი მზის სხივებით დამწვარდადაგულია და სადაც დედა-მიწა ქვიშათ გარდაქცეულა; აგრეთვე შვეიცარიელისათვის თავისი ბუნების ყოველ-გვარი სიმშვენიერებით შემკული სამშობლოც და რუსისთვის მისი თვალ-უწვდენელი და მოტიტვლებული მინდერები.

ეს წმინდათ ინსტიქტური გრძნობაა. ამ გრძნობაში, მამულისადმი სიყვარულში ადამიანს ის მაღალი ლტოლვილება უნდა ებადებოდეს, რომელიც მამულის ყოველი ნამდვილი 'შვილისათვის' თავის სამშობლოს დღეგრძელობისათვის შრომაში და თავის მემამულეთ დახმარებაში უნდა მდგომარეობდეს.

ის ხალხები, რომელთაც დღეს განათლებულათ მოაქვთ თავი, რამდენათაც გაუნათლებელ მდგომარეობაში ყოფილან და განცალკევებულად უცხოვრნიათ, იმდენათ იმათ წიერებს

საქმეში არ გაერევა და ყველა დაწყნარებით, მშვიდათ და რიგიანათ წავა. დროც ბევრი არ დაეკარგებათ მონაწილეებსა.

თეათრის მოყვარე.

დღიური

□ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას მოვაგონებთ, რომ იანვრის 28-ს, მომავალი კვირის სამშაბათს, ტფილისში საზოგადო კრებაა დანიშნული ბანკის თაობაზე.

ამ კრებაზე ზოგიერთ ისეთ საგნებს განიხილვენ, რომელნიც ბანკის წესდების შეცვლას შეეხებიან და ამიტომ ბანკში მონაწილეების უმრავლესობის დასწრება აუცილებლად საჭიროა.

□ ქუთაისიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ამას წინათ იქაურ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს ქართული წარმოდგენის გამართვა სდომებიათ, „ბაყრა" მოუმზადებიათ წარმოსადგენად და შემოსული ფულები თავიანთი ღარიბი ამხანაგების შესაწევნელად უნდა მოეხმარათ. მაგრამ, როგორც გვწერენ, ერთს მასწავლებელს შეუშინებია შაგირდები, უთქვამს, რომ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებისაგან წარმოდგენების გამართვა აღკრძალულიაო და თავი დაანებეთო. შაგირდებსაც თავი დაუნებებიათ.

კორრესპონდენტი გვკითხავს: სასურველია შევიტყოთ, მართლა აღკრძალულია ვისგანმე ამისთანა უმანკო დროს-გატარება ამ მოწაფეებისთვის, თუ არაო? კანონში კი ამის თაობაზე არა არის რა მოხსენებულიო...

□ შარშან რომ ტფილისში პატარა წიგნები დაიბეჭდა: ბექანიანი, ქალ-ვაჟიანი, სახალხო სიმღერები, არსენას ლექსი, რჩეული არაკები და სხვა, ეს წიგნები კახეთში ძალიან გავრცელებულა. „სასოფლო გაზეთში" სწერენ, რომ კახეთის სოფლებში ბევრ გლეხებს აქვთო და, როგორც ეტყობა, გულმოდგინეთ ჰკითხულობენო...

□ ჩვენ შევიტყეთ, რომ რამდენსამე პირს ტფილისში „ვეფხვის ტყაოსნის" იაფი გამოცემა განუზრახავთ, ასე რომ თითო წიგნი აბაზზე მომეტებული არ ღირდეს და თუ შეიძლება აბაზზე ნაკლებიც. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი იაფი სახალხო გამოცემა ჩვენი უკვდავი პოემისა ძალიან კარგი და სასარგებლო საქმე იქნება...

□ ამ უკანასკნელ დროს გახშირებულმა ცეცხლის გაჩენამ, როგორც ერთი მოქალაქე გვწერს, ყველაზე მომეტებული სარგებლობა „საზღვეველ საზოგადოებებს" მოუტანა, რადგან დაშინებულ სახლის პატრონებმა თავიანთი შენობების ამ ცეცხლისაგან საზღვეველ საზოგადოებაში შეტანა დაუჩქარეს.

„დროების" კორრესპონდენცია

ქ. ფოთი, 10 იანვარს.

წარსულს 23 დეკემბერს ფოთის პოლიციმეისტერმა, უფ. ლაზარევიჩმა, მოუწოდა მთელი ფოთის საზოგადოებას პოლიციაში და გამოუცხადა მათ, რომ ხიდის შენება გათავებულიაო დამშენებელს ფული უნდა მივსცეთ, სულ 104 ათასი მანეთიო; მაგრამ ქალაქს 74,337 მან. მეტი არა აქვსო.—43 ათასი მან., რომელიც ფოთი-ტფილისის რკინის გზის საზოგადოებამ მისცა ქალაქს ფოთის მიწისათვისო და 31,337 მან., რომელიც აღებულია გაყიდული ნაკვეთებისაგან მიწისა დიდ კუნძულზეო. ამ ფულებზე ეხლა გვჭირდება დამატება 29,663 მანეთისაო და რადგან ჩვენ ხელათ არ გვაქვს, პირობა მივსცეთ ხიდის ამშენებელსო, რომ ეს 29,663 მან. ოთხი წლის განმავალობაში ისევ ხიდის შემოსავლიდგან გავისტუმრებთო. და უკეთუ რამე მიზეზისა გამო ხიდის შემოსავალი ამ ვადაში ვერ გაისტუმრებს ვალს, მაშინ ფოთის საზოგადოებამ მიიღოთ თავის თავზე გადასახდელათო, თითოეულმა მოსახლემ შეძლებისა გვარათო.

ამ სიტყვების შემდეგ პოლიციმეისტერმა წინადადება მისცა საზოგადოებას, რომ თუ მოხსენებული პირობის თანხმა გახდებითო, საზოგადო განჩინება უნდა დაადგინოთო და ზედ თანხმობის ხელი უნდა მოაწეროთო.

საზოგადოებამ ამაზე რჩევა მოახდინა ერთმანერთში, მაგრამ ერთი მეორის თანხმა არ გახდნენ და უკმაყოფილება მოუვიდათ. ზოგიერთ ჩინოვნიკებმა, რომელთაც მამული აქვთ ფოთში, უთანხმოება განაცხადეს წინადადებულს პირობაზე, იძახდნენ, რომ ჩვენთვის ხიდი საჭირო არ არისო და არც ფულებს გადავიხდითო, უკეთუ გადასახდელად დაგვედვაო; ვისთვისაც ხიდი არის საჭირო იმათ იკისრონ თავის თავზე პირობაცაო. ბევრი ილაპარაკეს, დიდხანს იყო ბაასი და სჯა, ბევრი სხვა და სხვა წინადადება შემოიტანეს.

ბოლოს ეს საქმე გათავდა იმით, რომ საზოგადოებამ განჩინება დაადგინა თანახმად პოლიციმეისტერის წინადადებისა და თანხმობის ხელი მოაწერა ორმა წილმა ფოთის საზოგადოებისამ.

ამის შემხედვარე მოწინაამდეგე მხარე გაცხარდა და დაუყენებლივ გავიდა პოლიციიდამ. კანონში ყოფილა მოხსენებული: „ორი წილი მრთელი საზოგადოებისა როგორც გადასწყვეტს, ისრე წავა მათ მიერ დაწყებული საქმეო". ვინც უთანხმოება განაცხადეს, ძალა-უნებურად უნდა დათანხმებულიყვნენ მოხსენებულ პირობაზე.

ს. ქუთათელაძე.

ოზურგეთი, 15 იანვარს.

ახალწელიწადს ჩვეულებრივ დრო არ გაუტარებიათ ოზურგელებს, რადგან მისი ბრწყინვალება ცოტა შეუძლოთ იმყოფებოდა და ცუდი ტაროსიც იყო, ასე რომ ქუთაისიდამ მოსვლა არ შეეძლოთ ძვირფას სტუმრებს, რომელნიც ყოველ წლობით გულმოდგინეთ არიან ამ შემთხვევაში; არც სასულიერო წოდება გხლებიათ ხატებით, თუმცა ამ წოდებიდგან უფრო იმედი ჰქონდა ბატონს.

მაშ რა ქნა მხიარულმა ოზურგეთმა? ახალის წლის წინადღით „კავალერებმა" შეკრიბეს ორ-ორი მანეთი და გამართეს ერთს უხეირო შენობაში, როგორც თვითონ ეძახიან, „ვსტრეჩა": ქალები თითქმის ზურგით მიიყვანეს ამ დიდ თოვლში, და იმოდენა ხანს იხტუნეს, სანამ სანთლები არ დაიწვა და ცეცხლი სასანთლეებს არ გაუჩნდა. მოსამსახურე პირნი მუნდირებით გახლდნენ და ერთი ორი კუდიანი სერთუკებითაც. ვახშამზედ ერთმა ყმაწვილმა აფიცერმა აიღო სტაქანი და წარმოსთქვა, რომ ჩვენ ვისურვეთ მრავალი ახალი წელიწადი გაგვითენოს ღმერთმა და მეტი არა გვინდა რაო. ყველამ ტაში დაუკრა და ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ...

ესეც ჩვენი ახალი წელიწადი! ძველიდგან თუ რასმე მათქმევინებთ და ყურს დამიგდებთ, აი რას მოგახსენებთ:

ბურიაში ერთი სასულიერო სასწავლებელი ყოფილა დიდიხნიდგან, რომელიც თურმე გვარიან დიდ ფულად უზის მართებლობას და სასულიერო წოდებასაც, მაგრამ არც ხორციელად და არც სულიერად ამ სას-

---

უგრძნიათ მიმზიდველობა მარტო იმ მიწისაკენ, ან ადგილისაკენ, სადაც ისინი დაბადებულან, აღზრდილან და სადაც მათ წინაპართ უცხოვრიათ. სამშობლო—მათი ეზო, სახლი და კარი შეადგენდა და მემამულეებს მათი საკუთარი ოჯახი ან მახლობელი ნათესაობა. მათთვის საერთო სამშობლო და მისი დაწესებაები, ან საზოგადო მემამულეები და მათი ინტერესების და უფლებაების დაცვა არ არსებობდა. საზოგადო მამულის მტერი, შემგინებელი და ამაოხრებელი იმათ თავის საკუთარ მტრად, შემგინებელად და ამაოხრებელად არ მიაჩნდათ. როგორც თვითონ არ საჭიროებდნენ სხვის დახმარებაში, ისე არც ირჯებოდნენ მემამულესათვის გაჭირვების დროს ხელი მოემართად.

მამულის შვილის მოვალეობაზე ამ გვარს შეხედულობას იმ რწმუნებამდინ აჰყავდა, რომელიც შემდეგი სიტყვებით გამოითქმის: „მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნულარ ყოფილაო". ეს ადამიანის ბუნების და ხასიათის ის გარყვნილი თვისებაა. რომელსაც ეგოიზმს ეძახიან.—უქველია, ამ გვარ „მამულის შვილებს" სამშობლოს და მემამულეთ ინტერესების დაცვა იმდენათ მოეთხოვებათ, რამდენათაც იმ პირუტყვს მხეცს, რომელიც, რამდენიც უნდა აპატიო, მაინც სულ ტყისაკენ იყურება.

იმ დროს სამშობლოს სიყვარული და იმისთვის სამსახური, აი ამგვარი ხასიათის ყოფილა, მაგრამ რადგან ამის მიზეზი მათი გაუნათლებლობა, განცალკევებული ცხოვრება და ურთიერთ შორის მიუსვლელობა ყოფილა, ამიტომაც ეს იმათ ისე დანაშაულად არ უნდა ჩაეთვალოსთ. სიბნელით, გაუნათლებლობით და ველური მდგომარეობით უნდა აიხსნეს დღეს მე-XIX საუკუნეში ჩვენი მხრით მამულის შვილის მოვალეობაზე ამისთანა პირუტყული თვალით შეხედვა.

განა შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დღეს ამ განათლებულს საუკუნეში, იმისთანა მამულის შვილები არ მოიძებნებიან, რომელთაც სამშობლოს და მემამულეებისათვის სამსახურის მოვალეობა სწორედ ისე ესმისთ, როგორც ეს ჩვენზე რამდენიმე საუკუნით დაშორებულ ჩვენ წინაპართ ესმოდათ?... რამდენიც გინდა, იმდენს მაგალითს ჩამოგითვლი თვით იმ ხალხიდამ, რომელსაც განათლების ლამპრათ ასახელებენ დღეს.—აბა, რა ითქმის დღეს იმისთანა მამულის შვილზე, რომელსაც სამშობლოს შევიწროებული მდგომარეობა არ აწუხებს და არ აღელვებს ან რომელსაც ეს სამშობლოს შევიწროება თავის საკუთარი თავის შევიწროებათ არ მიაჩნია? რისი ღირსია დღეს ის მამულის შვილი, რომელიც სამშობლო ენის მოსპობას ლაღადებს იმიტომ, რომ ის ამ ლაღადებიდამ პიროვნულ სარგებლობას მოელის!

მამულის ნამდვილს შვილს სამშობლოს და თავის მემამულეების გაჭირვებული და შევიწროებული მდგომარეობა თავის შევიწროებათ მიაჩნია. მემამულეების ყოველ-გვარ ინტერესს თავის საკუთარ ინტერესათ სთვლის. ბედნიერად რაცხს თავის თავს, როდესაც სამშობლოს დღეგრძელობისა და კეთილდღეობისათვის გაუწყნარებელად იბრძვის. ის მხოლოთ იქ გრძნობს კარგათ და ბედნიერად თავის თავს, სადაც მისი სამშობლოა—წინააღმდეგ იმ ეგოისტებისა, რომლებისათვის სამშობლო იქ არის, სადაც თავიანთ თავს კარგათ, თავისუფლათ და ბედნიერად გრძნობენ; „Ibi, bene, ubi patria" და არა ibi patria ubi bene".

აი, ჩემო მეგობარო, მამულის შვილის მოვალეობა და მამულის სიყვარულის სურათი.—ამ მაღალი გრძნობით აღვსილი მამულის ნამდვილი შვილის მოვალეობა იმით კი არ გამოიხატება, რომ იმას უყვარდეს და თაყვანს სცემდეს მარტო იმ ადგილს და მიწა-წყალს, სადაც ის დაბადებულა, არამედ იმით, რომ თუ საჭირო იქნება, თავის ღონეს, შეძლებას და თვით სიცოცხლესაც არ დაზოგავს თავის სამშობლოსა და მემამულეებისათვის.

ეს თვისება ამაღლებს ადამიანს და ჰხდის იმას ყველა ქმნილების მეფედ.

(დასასრული შემდეგში)

წაელებელიდგან, გარდა იმ კაცებისა, რომელთაც მასწავლებლებს უძახიან, არავის არავითარი სარგებლობა არ შეუძენია. ეხლა ამის მიზეზი ცოტა-ოდნათ გაუგია სასულიერო წოდებას და ერთს მღვდელს დასიზმრებია, რომ თუ ეს სასწავლებელი არ გაეაუმჯობესეთ ისე, როგორც დრო მოითხოვს და თუ ჩვენი მხრიდგან მზრუნველობა არ ეიქონიეთ და მზრუნველიც რიგიანი არ დაენიშნეთ, ისე არასოდეს ხეირი არ იქნებაო. ეს სიზმარი იმ მღვდელს ერთი კაცისთვის უთქვამს და იმ კაცს, ააშენა ღმერთმა, კარგათ „აუხსნია“. მოგეხსენებათ, სიზმარი კარგათ თუ არ აუხსენი, როდი გამოდგება ხოლმე კარგათ. ეხლა მხოლოდ უნდა დაეკითხონ თუ რა იქნება თავადი ს. ნ—ძის ქითაბს, რომელიც თურმე ძლიერ წინასწარმეტყველობს. მართლაც ამბობენ, რომ ს. ნ. ქითაბი ბევრს რასმეს გვიქადის ამ წლისათვის, მაგალითად: ცუდი ზამთარი იქნებაო. თებერვლის „გველაშაპი“ გადაბრუნდება და სისხლის ჩხუბები იქნებაო, ბატონ-ყმობა მობრუნდება, ოზურგეთში გზები გაკეთდებაო, ერთი ბრწყინვალე ეარსკვლავი მოგვაკლდებაო და სხვ.

„ხელ ცარიელი“ მისვლა რომ ეარგოდეს, ან ერთი ქათამი რომ მყოფნიდეს, მეც მივალ საკითხავად და იქნება შემეტყო ჩვენი ბანკის მმართველობაში პროექტის ძალით მართლა თუ ხმა ფულზედ არის შეფასებული?!

X

რუსეთი

✱ „მოსკოვის უწყებებში“ სწერენ, რომ შინაგან საქმეების საშინისტროს განზრახვა აქვსო, რომ ყოველს გუბერნიაში ისეთი საზოგადო ჯანმთელობის კომიტეტი დაარსოს, რომელიც, როდესაც ამ გუბერნიაში რაიმე ჭირი ან ავათმყოფობა გაჩნდება, ვალდებული იქნება იმის მოსპობისათვის იზრუნოს.

ამას გარდა ჰსურთ, რომ ყოველს უეზდში, ყოველს 20,000 მცხოვრებელზე ერთი ექიმი და ორი ფერშალი დანიშნონ. ჩვენამდინაც თუ მოაწია ამ განკარგულებამ, სწორეთ ძალიან კარგი იქნება.

✱ ზოგიერთ რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია, ვითომც ამ იანვრის განმავლობაში რუსეთის თავადაზნაურობისა და ერობის წარმომადგენელნი შეიკრიბებიან პეტერბურღში, მმართველობის მოწვევით, და იმ დამოკიდებულებაზე მოილაპარაკებენ, რომელიც მუშებსა და პატრონებს შუა არისო. მას აქეთ, რაც ბატონ-ყმობა მოისპო ეს დამოკიდებულება მუშებსა და პატრონებს შუა, აგრეთვე მოჯამაგირე ბიჭებსა და იმათ აღებს შუა ძალიან უნორმალო არისო და ამ ზემოხსმენებულმა კამისიამ უნდა გაარკვიოს და ამის თაობაზე ახალი წესდებულება უნდა დაადგინოსო.

✱ ერთს რუსულ გაზეთს გაუგონია: ფოჩტის დეპარტამენტს განზრახვა აქვსო, რომ ამ წლის, პირველი იელისიდამ ფოჩტის ტაკსა შეამციროსო ასე, რომ ქალაქს გარეთ გასაგზავნი წერლების ფასი, ორი შაურის ნაცელად, მხოლოთ ერთი შაური იქნებაო და ფოჩტალიონსაც წიგნის მოტანისათვის არაფერი არ მიეცემაო.

✱ პოლშის მთავარ-მართებელს შინაგანი საქმეების სამინისტროში წინადადება შეუტანია და განზრახვა აქვს თურმე, რომ ყველგან თუ არა, ზოგიერთს გუბერნიაში მაინც სასოფლო ფოჩტა გამართოს ასე, რომ სოფლებიდამ ახლო ქალაქამდი კვირაში ორჯელ მაინც დაიარებოდეს სახელმწიფო ფოჩტა.

✱ ქალაქს ტაგანროგს ერთს მეიჯარადრესთან, ქოგანთან შეუკრავს პირობა ქალაქში წყლის გაყვანის თაობაზე. ამ პირობაში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ უფ. ქოგანმა ორი წლის განმავლობაში უნდა გაიყვანოს ქალაქში ყველგან წყალი და თუ ეს ვერ შეასრულა, მაშინ ქალაქს ჯარიმათ 50,000 მან უნდა მისცეს.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. ზემო პირინეის დეპარტამენტში ხელ-ძეორეთ კენჭის ყრით დეპუტატად ბონაპარტისტების კანდიდატი ქაზო ამოურჩევიათ.

ამ გარემოებით სარგებლობენ რესპუბლიკური გაზეთები, რომ ერთხელ კიდევ მოაგონონ მმართებლობას, რომ, თუ ასე უხეიროთ წაიყვანთ სახელმწიფო საქმეებს, თუ დაბოლოებით არ დაამკვიდრებთ საფრანგეთში რესპუბლიკურ მმართებლობას, ბონაპარტისტები დღითი-დღე მოიმატებენ ძალას ხალხში და ქვეყანას მოსვენება არა ექნებაო. ხალხს მობეზრდა ამდენი ცდა, ამდენი მოლოდინი, იმას ჰსურსო, შეიტყოს: რა მმართებლობის ქვეშ ცხოვრობს დღეს და ხვალ რა მოელისო. ვერაფერი ვერ ალაგმავს და გააჩერებს ისე კარგათ ბონაპარტისტებს, როგორც ახლანდელი კრების დახურვა და ახლის ამორჩევა, რომელიც გადაწყვეტს: მონარხიაჰსურს საფრანგეთის ხალხს თუ რესპუბლიკა. სანამ ასე არ მოხდება, სანამ ყველა ღუბერნატორები და მოხელეები ბონაპარტისტები არიან, მანამ ხანდისხან ამ გვარი დეპუტატების ამორჩევა არ უნდა გვაკვირვებდესო.

— ნაციონალურ კრებას გაუთავებია სამხედრო კანონებზე მოლაპარაკება და კონსტიტუციურ კანონებზე სჯა დაუწყია.

— ერთს ნემეცურ გაზეთში დაბეჭდილია პარიჟიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია, რომ ნაპოლეონ მესამის ქერიემა, მეგენიამ, ლონდონის ლორდ-მერის ცოლს, რომელიც პარიჟში მიდიოდა ახალი ოპერის პირველს წარმოდგენაზე, მიანდვაო მაკ-მაჰონის ცოლთან მოლაპარაკება, რომ იმას თავის ქალი ახალგაზდა ნაპოლეონისთვის მიეთხოვებია.

ბაზეთებში სწერენ ამ ხმის თაობაზე, რომ ეგენიამ მზითვათ, რასაკვირველია, საფრანგეთის ტახტი სთხოვაო. ის არწმუნებს მაკ-მაჰონსო, რომ როგორც დონ-ალფონსის ესპანიის ტახტზე შესვლას არც თვითონ ესპანიის ხალხისაგან და არც უცხო ქვეყნების სახელმწიფოებისაგან არაფერი დაბრკოლება არ ალმოსჩენია, ისე არც ნაპოლეონ მეოთხის გაიმპერატორებას არავითარი დაბრკოლება არ ექნებაო; ოღონდ გამბედაობა არის საჭიროო...

ესპანია. ახლად გამეფებულს ესპანიის კოროლს დონ-ალფონსს ყველა სახელმწიფო კარებისათვის ტახტზე ასვლა უცნობებია. ამ ცირკულიარში სწერია, რომ ზომიერად, ბრძენულად და კანონიერად ვიმეფებო.

უცხო ქვეყნის გაზეთებში სწერენ, რომ მომეტებული ნაწილი ევროპის სახელმწიფოებისა მზათ არიანო, რომ ესპანიის ახალი მმართებლობა იცნონო.

ქრონიკა

სტატია IX

დიმიტრი თავდადებული მე-II

„რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს!“ სთქვა ამ დიმიტრი თავდადებულმა. ეს სიტყვები იმოდენად მართალია, რამოდენათ ნამდვილია ის, რომ დღეს, 1-ს დეკემბერს, ქუთაისში მზე მოჰფენს თავის ცხოველს შარავანდედსა.

ამ კაცს მხოლოდ მეფობის სახელი ჰქონდა. მისი მეფური უფლება წარმოადგენდა მხოლოდ აჩრდილს. ამას უფრო ბერობის ნიჭი ჰქონდა, ვიდრე სამეფოს მოვლისა. წირვა-ლოცვას არასოდეს არ აკლდებოდა. ყოველს ღამეს 1500 მუხლს იყრიდა და დიდის თავგანწირულებით მარხულობდა. ღამით თფილისის ქუჩებში დადიოდა და ეძებდა გლახებს და ქერივ-ობლებს და აძლევდა მოწყალებას.

მაგრამ ეს საღმთო მიმართულება დიდხანს არ გაჰყვა. ყმაწვილი იყო, როცა მამა დავით-სოსლანი მოუკვდა და თუმცა მონგოლებმა მაშინვე საქართველოს მეფედ იცნეს, მაგრამ მის მმართველად დააყენეს საღუნი მანკაბერდელი.

სამეფო საქმეებზე ფიქრს და ზრუნვას სრულიად არ ეკარებოდა, და არც ჰყვანდა იმისთანა კაცი, რომ რამე ჩაეგონებინა. ამან შეაჩვია ის ლოცვა-ვედრებას და სამეფო საქმეებზე უზრუნველობას. ვიდრე ასაკში მოვიდოდა, მამის მოგებული სიმდიდრე სულ სამოწყალო საქმეებზე გადაგდო და როცა გაიზარდა და მონგოლებმა სამხედრო სამსახურში მიიწვიეს და საჭიროები სთხოვეს, საღუნი მანკაბეროდელს დმანისი მიჰყიდა, გამოართო ფული და ამითი იმათ საჭიროები გაუწყო.

ამ სამსახურში ... ეს ... ის გაეცნო სოფლის ტკბილს და გემოიანს ცხოვრებას. მონგოლებთან მისვლა მოსვლამ და იმათ გალაღებულ ბანაკებში ცხოვრებამ ის დროებით ღვთის ლოცვა-ვედრებასაც გადააჩვია და შეატოპინა ფეხი ქრისტიანობის წინააღმდეგ ცხოვრებაში. შეერთო სამი ცოლი; ერთი იყო ტრაპიზონის იმპერატორის ქომნენის ასული, მეორე მონგოლისა და მესამე ბექა ჯაყელისა. სახელად ნათელა. ამისგან დაიბადა ბიორგი ბრყწინვალე. ნიკოლოზ ქათალიკოზმა ბევრი უშალა, მაგრამ დიმიტრიმ არ გაიგონა და თავისი ცხოვრება უფრო გაფუფუნა.

მისი თავზე ხელ აღებული ცხოვრება ყველამ შეიტყო. რადგან სიმდიდრე წინათვე ჰქონდა დაბნეული, ამისათვის ახლა ეკლესიების და მონასტრების კუთვნილებას დაუწყო თავის სასარგებლოდ ხმარება. ამგვარ ცუდ საქმეებში სამხილებელად ათინის მონასტრიდამ მოვიდა ერთი ქართველი ბერი, სახელად ვასილი და ამხილა ის უზნეო საქციელში, და უწინასწარმეტყველა, რომ თუ არ მოიშალი კაცის შემარცხვენელ და დამამცირებელ ზნესო, უთუოდ შენს თავსაც და საქართველოსაც დაღუპამო. მაგრამ დიმიტრის ცხოვრება ისრე გამტკბარი ჰქონდა, რომ არამც თუ არ გაუგონა, არამედ უფრო და უფრო ჩაეფლო ცხოვრების ტალღებში. იმისი ქცევა ამის შემდეგ ისრეთი იყო, რომ შეუძლებელი იყო რა ასრულებულიყო ვასილი ბერის წინასწარ-მეტყველება.

ამ დროს მონგოლების სამსახურში იყო ერთი ქართველი ჩამამავლობის კაცი, სახელად ბუღა. ეს იყო, როგორც ამბობს მატიანე, რუსუდანის შვილის-შვილის-შვილი. ამას და დიმიტრის ერთმანეთი ძლიერ უყვარდათ. ბუღა იყო მონგოლების ჯარების სპასალარი და ისრე განდიდებული, რომ ყაინსზ ბრიალასავით ტარიალებდა. ამან ყაინობა მოინდომა. შესდგა შეთქმულება; მაგრამ ბბალა ყაინმა შეუტყო, ანაზდად დაესხნენ ბუღას, შეიპყრეს, აიკლეს იმისი სიმდიდრე და თვითონ ის მოჰკლეს. ამ შეთქმულებაში დიმიტრიც ერია. ამისათვის ყაინმა გამოუგზავნა ელჩი და უთხრა: გთხოვ დაუყოვნებლივ ჩემთან მოხვიდე, თუ არა და მოვალ და ავიკლებ შენს სამეფოსო. დიმიტრიმ შეიტყო რისთვისაც იმას იბარებდნენ, და ამისთვის შეჰყარა სამეფო თათბირი და ასრე უთხრა: ბბაყა ყაინს ბუღა მოუკლავს და ახლა მე დაუბარებიეარო; მე რომ არ წავიდე —მექადის, მოვალ და შენს სამეფოს ავაოხრებო,

„მე რომ წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი, და აჰა ყოველი სამეფო წინაშე მათსა ძევს: იხილეთ რავდენი სული ქრისტიანე სიკვდილსა მიეცემის და ტყვე იქმნების.

თქვა იმან.

თათბირში გადასწყვეტეს მეფის არ წასვლა; მაგრამ იმან სთქვა:

„რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს.„

დიმიტრის იმოდენათ უყვარდა თავისი სამშობლო და ქართველობა, რომ თავი თვისი არ დაზოგა თავის ძმების საკეთილდღეოდ და უენებელობისათვის, და ამისათვისაც მადლიერმა შთამაელობამ იმას უწოდა „თავდადებული“.—აბა ვინ იტყვის, რომ ეს დალოცვილი ახლანდელ ქართველებს არა გვანებიაო! როგორც ახლანდელი ქართველები ამის მაგალითის მიხედვით თავს არ ზოგავენ, თვითონ აკლებენ, მწარდებიან და სხვა ქართველებს ყველაფერში შემწეობას აძლევენ, სწორეთ ისრეთი ყოფილა ეს კაცია!...

ინგილო ჯანაშვილი.

ნარევი

შესანიშნავია, რომ ჩვენში ქალის დაბადება ისე სწყინთ დედ-მამებს, თითქო ერთი დიდი რამ უბედურება დამართნოდესთ. ფრანცუზებს კი, განსაკუთრებით ღარიბებს, ქალის დაბადება ისე უხარიათ, როგორც ჩვენში ვაჟისა. ეს წარმოსდგება იმისაგან, რომ ჩვენში ქალია ოჯახის ურგი, რადგან როგორც გაიზდება, მზითევი მიაქვს და ოჯახს სტოვებს და საფრანგეთში კი ვაჟი; იქ ყოველთვის ქალი უფრო დამხმარებელია ოჯახისა, ვიდრემ კაცი. აი აქა სჩანს დედ-მამის ეგოიზმი....

* * *

ერთს ფრანცუზულ გაზეთში მოყვანილია ჩინურს გაზეთში დაბეჭდილი შემდეგი ბრძანება იქაური ლუბერნატორისა; ეს ბრძანება ჩინელი სალდათებისათვის არის გამოცემული: „აღკრძალულია გარყვნილობა; ვისაც გარყვნილობას შევამჩვნევ, 300 ჯოხი მოხვდება; აღკრძალულია სხვისი ცილის მოტყუება ან მოტაცება, დამნაშავეს 300 ბამბუკის ჯოხი მოხვდება, ყურებს დაუხვრეტ და ჯარი დამ გავაგდებ; აღკრძალული ქაღალდის თამაში, დამნაშავეს 300 ჯოხი; აღკრძალულია ოპიუმის მოწევა; დამნაშავეს 300 ბამბუკის ჯოხი მოხვდება და სამსახურიდამ გამოვაგდებ. ბრძანება ესე გამოიცა დღეს, მეცამეტე წელს ბოლდიხანის ტუნგ-ჩიხის მეფობისას, ჩემგან, ლინისაგან, თქვენდა ჭკუის სასწავლებლად, მხნენო მხედარნო. წაიკითხეთ და შეძრწუნდით!.“

* * *

რუსის ტეხნოლოგს, ზვერკოვს, ისეთი მაშინა გამოუგონია, რომლის შემწეობითაც რკინის გზის მატარებელი თოვლს სწმენდს თურმე მსვლელობის დროს, ასე რომ რაც უნდა დიდი დოვლი იყოს, ეაგონებს სიარული არ გაუჭირდებათ.

* * *

საფრანგეთის მედიცინის ფოკულტეტებში რამდენიმე ქალი მიუღიათ სტუდენტებათ და ამასთანავე ნება მიუციათ, რომ მომზადების შემდგომ დოქტორობის დიპლომზე ეგზამენი დაიჭირონ.

* * *

ლონდონში შემდგარა საზოგადოება, რომელსაც ქალაქის ახლოს კარგა დიდი მიწა უყიდნია და ღარიბი მუშა-ხალხისათვის სახლების აშენებას აპირებს. ჯერ-ჯერობით 2,000 სახლის აშენება განუზრახავთ, რომელშიაც 16,000 ოჯახი დაეტევა საცხოვრებელად.

სავაჭრო

△ სამაზრო ინჟინერის მმართველობა ქავკასიის სამხედრო მაზრისა გამოიწვევს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აღება ქ. ალექსანდროპოლში შემდეგი მუშაობისა: 1) ციხის ხევში უნდა აშენდეს თოფის წამლის შესანახავი სარდაფი, 2) ფეხის ადგილები უნდა გადაკეთდეს ალექსანდროპოლის ლოშპითალში; ამას გარდა 153 ბაქოს ქვეითა პოლკისათვის, ახალქალაქში, ორი კუხნა უნდა აშენდეს. ფასი იჯარისა დანიშნულია 54,263 მან. და 96 კაპ. ვაჭრობას იქნება თფილისში, სამაზრო ინჟინერი კანცელარიაში, იანვრის 23-ს; ხელმეორეთ ვაჭრობა აღარ მოხდება. უფრო დაწვრილებითი პირობების ნახვა ამ იჯარისა თვითონ ინჟინერის კანცელარიაში შეიძლება, ყოველ დღე 9½ დამ 3 საათამდი.

3 (3) 10

△ სამაზრო ინჟინერის მმართველობა ქავკასიის სამხედრო მაზრისა გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აღება შემდეგი მუშაობისა—თერგის მაზრაში, ქ. ვოზდვიჟენსკში: 1) არტილერიის ბრიგადისათვის ორ-ეტაჟიანი ქვიშკირის მასტერკაიას აშენება; ბ) ძველი სახურავის გამოცვლა და ახალი კრამიტის სახურავით გაკეთება შტაბ კვარტირების შენობებისა და გ) რემონტი სამი ყაზარმისა, — სულ 27,104 მანეთის იჯარაა. ვაჭრობა დანიშნულია თფილისში იანვრის 24-ს, ხელმეორეთ ვაჭრობა არ იქნება.

3 (3) 11

△ ერევნის გუბერნიის სამმართველო გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ, იჯარით, გადაკეთება შვიდ კარდონის პოსტებისა ეჩმიაძინის და ალექსანდროპოლის უეზდებში და აგრეთვე ახალი პოსტის აშენება შიგ-ტატინში, — 73,215 მანეთისა. ვაჭრობა მოხდება 11 თებერვალს ქ. ერევანში.

3 (3) 12

სამი თვის ანგარიში თიოლნეთის გამსესხებელ შემნახველის ამხანაგობისა

1-ი სექტემბრიდამ 1-ს დეკემბრამდე 1874 წლისა

ამხანაგებთა ირიცხებიან 182 პირნი

1, შემოსავალი:

ა., ამხანაგობისაგან არის შემოტანილი წილის ფული. 2581 მ.— 80 კ.
ბ., სარგებელი აღებული გასესხებული ფულისაგან . . 162 მ.— „
გ., სხვა. . . . 1150 მ.— „

სულ . . . 3893 მან. 80 კ.

2, გასავალი

ა., გასესხებული. . . 2700 მ.— „
ბ., დახარჯული გამგეობის გამართვაზედ. . . . 196 მ.— 80 კ.

სულ გასული. . 2896 მ. 80 კ.

3, კასსა

ბ., შეტანილი არის თბილისის საეკლესიო ბანკში სარგებელზედ 27 ნოემბრიდამ ამა წლისა 800 მ.— „
ბ., ნაღდი ფული არის კასსაში . . . . . 397 მ.—

სულ . . . . 1197 მან.—„

გამგეგელნი . { ვ. დოდაევი. ეკ. ბაქრაძე. თ. ლ. ჯანდიერი.

3 (3) 4

2 (3) 9

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 1 საათამდი

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიის, პარფენიკი — ყმაწვილებს, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისა, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისა.

სამშაბათს: პარფენიკი — ყმაწვ. ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: პარფენიკი ყმაწ., ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისა. მარკაროვი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: მინკევიჩი—ხირურგიისა, პარფენიკი—ყმაწვ., ქალებს და ვენერ. ავათმყოფ., ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შაბათს: მარკაროვი და ლისიცევი ინაგანი ავათმყოფობისათვის.

განცხადება

რუსული გაზეთის „თფილისის მოამბის“ გამოცემაზე 1875 წელს.

„თფილისის მოამბე 1875 წელს გამოვა იმავე პროგრამმით, იმავე დროს და იმავე სიერცით, როგორც პარშან გამოდიოდა.

გაზეთის ფასი

ერთი წლით, გიგზავნით. . . 8 მან.
ნახევარი წლით . . . . . 4 მან 50 კ.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, ბოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Тифлисскаго Вѣстника.“

(3) 1

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ „საუმაწვილო კონა“ ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებიდგან. პირველი ნაწილი, შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან.

3 (3) 5

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	8	18	8	17				
მცხეთა. . .	9	18	10	—	-	68	-	38
ბორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ძუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია .	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ძუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილნ.	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
თფილისი	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — ხუთშაბ. საღ 6 საათ
სტამბოლს — კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — ოთხშაბათს, ღამით.
ოდესას — პარასკევს, გათენებისას

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ძუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსპალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ძუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაბ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ძუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.
გ) ბორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფოთიდამ:
ყოველგან — ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში:	კაპ
ღია წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 9 იანვარს.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 33½ პენსი.	—	84
პარიჟში 349½ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	97	75
მოგებიანი (პირველისესხი)	195	
მოგებიანი (მეორე სესხი)	195	-
ბრაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის (5½)	84	50
მოსკოვის (5%). . . .	80	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის.	235	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ.
თფილისი, 19 იანვარს.		
პური შორაგალის ფთ.	1	10
ძერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	—
— ამერიკისა, ფუთი. .	6	55
ბაპინტილი ბამბა ფთ.	8	—
მატული თუშური ფთ .	6	40
— თარაქამისა ფთ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	70
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	50
— ფხვნილი ფუთი . .	7	—
ყავა გრგვალი ფუთი .	19	50
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	5	90

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Января 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი